

არსებობს უამრავი დაავადება, რომელიც ოთხფეხა მეგობრების ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს :

- დიროფილარიოზი (გულის ფილარია)
- ტოქსასკარიდოზი
- უნცინარიოზი
- ანკილოსტომოზი
- დემოდეკოზი
- სხვა დაავადებები...



თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი ძაღლები და კატები იყვნენ მზიარული, ჯანმრთელი და მათი კანის საფარველი (ბალანი) გამოიყურებოდეს „ელეგანტურად“, დროულად ჩაუტარეთ ლაბორატორიული გამოკვლევები.

ამ საკითხში თქვენ კვალიფიციურ დახმარებას აღმოგიჩენენ ს.ს.ი.პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ვეტერინარი ექიმები



www.lma.gov.ge

ცხოველთა პარაზიტული დაავადებები



ჩვენი ოთხფეხა მეგობრები სითბოსა და სიხარულთან ერთად ზოგჯერ დაავადებებსაც გვჩუქნიან:

- ექინოკოკოზი
- ტოქსოპლაზმოზი
- ტრიქოფიტოზი
- ლეიშმანიოზი
- ტოქსოკაროზი

ეს იმ დაავადებების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ იმ უსიამოვნებებში, რაც შეიძლება ჩვენმა ოთხფეხა მეგობრებმა მოგვითანონ.

როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უსიამოვნებები?

ჩვენ დაგეხმარებით!!!

ჩვენთან კონსულტაცია უფასოა!!!


კონსულტაცია უფასოა!!!



მოგვმართეთ ჩვენ!!!

ექინოკოკოზი

გადამდები პარაზიტული დაავადება, რომელსაც იწვევს ექინოკოკის კვერცხი. მისი ზრდასრული ფორმა ბინადრობს ძაღლის ნაწლავებში გამოიყოფა ფეკალურ მასასთან ერთად და აბინძურებს გარემოს. მისი კვერცხი დიდხანს ძლებს - ძაღლის ბეჭვზე, საოჯახო ნივთებზე წყალში, საკვებში, ხილზე, მწვანილზე და ა.შ. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი კვერცხიდან გამოსული პარაზიტი მოითესება ღვიძლში ფილტვში და სხვა, რომლის განკურნება მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, რომელიც ხშირად სიკვდილით მთავრდება.



ლეიშმანიოზი

დაავადების წყაროა დაინვაზირებული, დაწყულულებული კანით დაავადებული ძაღლი. დაავადება ადამიანზე გადადის ძაღლიდან მწერების საშუალებით და იწვევს მძიმე პროცესებს, რომელიც ხშირად ლეტალურად (სიკვდილით) მთავრდება.

ტრიქოფიტოზი

სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ადამიანს ძაღლისა და კატისაგან გადაეცემა და აზიანებს სადა კანს, კანის თმის მიდამოს, ფრჩხილებს. ზოლო დროს დაავადების შემთხვევებმა ძალიან იმატა, რაც ალბათ ცხოველებისადმი ადამიანების სიყვარულს უნდა დავაბრალოთ.



ტოქსოპლაზმოზი

განსაკუთრებით საშიში პარაზიტული დაავადებაა, რომლითაც ავადდებიან ადამიანები, ცხოველები და ფრინველები. დაავადების წყაროა როგორც დაავადებული, ასევე პარაზიტების მატარებელი ცხოველები; მაგ: კატა, თვითონ არ ავადდება, მაგრამ წყაროა ადამიანების დასაავადებლად. ამიტომ, საჭიროა მისი ფეკალური მასის კვარტალური გამოკვლევა.

კატასთან კონტაქტი განსაკუთრებით საშიშია ორსული ქალბატონებისთვის !!!!

კატის საგების გაწმენდის შემდეგ ტოქსოპლაზმა ხვდება ადამიანის კუჭ-ნაწლავში, სადაც იწყებს განვითარებას. დაავადების წყაროა კატის ლოკვისას გამოყოფილი სითხე თუ კანი იმ ადგილას დაზიანებული აღმოჩნდა. გამომწვევი ბუდობს თავის ტვინში, ჩონჩხის კუნთებში, საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.



ტოქსოკაროზი

საშიშია ადამიანისთვის, განსაკუთრებით რვა წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

